განმცხადებელი: კავშირი "საფარი"

თარიღი: 23-08-2023

მივიჩნევ, რომ ჟურნალისტმა/რედაქტორმა დაარღვია საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პრინციპ(ებ)ი: პრინციპი 1;პრინციპი 3;პრინციპი 4;პრინციპი 5;პრინციპი 10;პრინციპი 11

ინფორმაცია ჟურნალისტის/რედაქტორის შესახებ, რომელმაც სავარაუდოდ დაარღვია ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პრინციპები: რუსთავი 2 - კურიერი

სადავო მასალა: "კურიერის" ექსკლუზივი: თეა გოდოლაძე ოჯახურ ძალადობაშია ბრალდებული 22-08-2023 09:38 https://rustavi2.ge/ka/news/262990

ჟურნალისტის//რედაქტორის მიერ ქარტიის პრინციპების დარღვევის დასაბუთება: საქმე ეხება 22 ავისტოს, ტელეკომპანია რუსთავი 2-ის მიერ დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა ინსტიტუტის ხელმძღვანელის, თეა გოდოლაძის შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას. რუსთავი 2-ის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში გამოქვეყდნა ნიუსი, სახელწოდებით - "კურიერის" ექსკლუზივი: თეა გოდოლაძე ოჯახურ ძალადობაშია ბრალდებული". თეა გოდოლაძის ინტერესებს ორგანიზაცია "საფარი" უკვე ერთ წელზე მეტია იცავს. ის პარტნიორის მხრიდან ფიზიკური ძალადობის მსხვერპლი გახდა და აქვს დაზარალებულის სტატუსი. ბრალდებულ კაცს 15 000-ლარიანი გირაო აქვს შეფარდებული. ამ საქმის განხილვა სასამართლოში მიმდინარეობს. შურისძიებისა და ზეწოლის მიზნით, მოძალადემ თავად დაადანაშაულა დაზარალებულ ქალი ძალადობაში, თუმცა, თეა გოდოლაძის წინააღმდეგ გამოცემული შემაკავებელი ორდერი სასამართლომ გააუქმა. ამის მიუხედავად, პროკურატურამ მას მაინც, სრულიად უსაფუძვლოდ, წარუდგინა ბრალი. აღსანიშნავია, რომ მოძალადეების მხრიდან მსხვერპლი ქალის დადანაშაულება, სამწუხაროდ, დამკვიდრებული პრაქტიკაა. გვინდა აღვნიშნოთ, რომ ამ საქმის გახმაურება არის საზოგადოების ყურადღების გადატანის მცდელობა თეა გოდოლაძის პროფესიული საქმიანობიდან მისი პირადი ცხოვრებისკენ. აგორებული შავი კამპანიის მიზანია გააჩუმონ პროფესიონალი, რომელიც ყოველთვის ღიად და აქტიურად აფიქსირებს თავის კრიტიკულ მოსაზრებებს ეკოლოგიისა თუ განაშენიანების საკითხებზე. ის აქამდეც არაერთხელ გამხდარა ვერბალური თავდასხმის ობიექტი, მათ შორის, ხელისუფლების წარმომადგენლებისგან. 1. ქარტიის პირველი პრინციპი "ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს სიმართლეს და საზოგადოების უფლებას – მიიღოს ზუსტი ინფორმაცია." "კურიერმა", საზოგადოებას არ მიაწოდა სრულყოფილი ინფორმაცია გავრცელებული ინფორმაციის თაობაზე; აგრეთვე, ინფორმაცია გაავრცელა ცალმხრივად, თეა გოდოლაძისა და მისი ადვოკატების კომენტარის გარეშე, რაც ამ საქმის ირგვლივ სრულყოფილ ინფორმაციას მიაწოდებდა საზოგადოებას; გავრცელებულ მასალაში არც ის იკვეთება, რომ ჟურნალისტმა სცადა თეა გოდოლაძესთან დაკავშირება და დაზუსტებული ინფორმაციის მიღება - პატივი სცეს სიმართლეს და საზოგადოების უფლებას - მიიღოს ზუსტი ინფორმაცია. რუსთავი 2-ის ჟურნალისტმა (ჟურნალისტებმა) სათანადოდ არ დაიცვეს სიზუსტის პრინციპი. ამ პრინციპში ძირითადი დატვირთვა მოდის სიტყვებზე: „ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს". უნდა ჩანდეს, ჟურნალისტის მცდელობა, რომ მან საზოგადოების მიმართ გამოიჩინა პატივისცემა და ინფორმაცია გამოექვეყნებინა ზუსტად და სრულყოფილად. 2. მე–3 პრინციპის მიხედვით, ჟურნალისტმა უნდა გადასცეს ინფორმაცია მხოლოდ იმ ფაქტებზე დაყრდნობით, რომელთა წყარო დადასტურებულია. ჟურნალისტმა არ უნდა მიჩქმალოს მნიშვნელოვანი ფაქტები. თვდაპირველად გავრცელებულ ნიუსში (https://rustavi2.ge/ka/news/262990) უცნობი წყაროსგან „ექსკლუზიურად" მიღებული ინფორმაცია არაა გადამოწმებული სხვა წყაროებთან. მასალაში არც იმის მცდელობა ჩანს, რომ ჟურნალისტმა სცადა ინფორმაციის გადამოწმება, მინიმუმ, თეა გოდოლაძესთან, ან დამატებით კითხვებზე მისგან

პასუხების მიღება. მასალაში არ ჩანს თეა გოდოლაძის (ან მისი ინტერესების დამცველების) პოზიცია. ჟურლაისტ(ებ)ს არც უნცდია(თ) ინფორმაციის მიღება ამ წყაროებიდან მასალის გამოქვეყნებამდე. შედეგად, მიიჩქმალა ისეთი მნიშვნელოვანი ფაქტები, რომლებიც ცვლის ამბის მთლიან კონტექსტს. მაგალითად, ის, რომ ამ საქმეზე თეა გოდოლაძის მიმართ გამოცემული შემაკავებელი ორდერი სასამართლომ გააუქმა; ის, რომ ეს საქმე გამოეყო სხვა საქმეს, სადაც თეა გოდოლაძე თავად არის დაზარალებული; ის, რომ ამ ორ საქმეს შორის არსებობს ფაქტობრივი კავშირი და ეს გარემოებები მნიშვნელოვანია თითოეულის აღსაქმელად და შესაფასებლად. 3. მე-4 პრინციპის თანახმად, ინფორმაციის, ფოტოების ან დოკუმენტების მოპოვებისას ჟურნალისტმა მხოლოდ კეთილსინდისიერი და სამართლიანი მეთოდები უნდა გამოიყენოს. „ექსკლუზიურ“ მასალაში მითითებული არ არის ინფორმაციის წყარო, შესაბამისად, არ ჩანს რა მეთოდების გამოყენებით მოიპოვა ჟურნალისტმა ეს ინფორმაცია. ეს, თავისთავად, აჩენს კითხვებს. სიტუაციას ამძაფრებს ისიც, რომ თეა გოდოლაძე ამ ინფორმაციის გავრცელებას მის პროფესიულ საქმიანობას უკავშირებს. განსაკუთრებით კი ბოლო პერიოდში, შოვის ტრაგედიის შემდეგ სახელმწიფო პოლიტიკის კრიტიკას და კითხვებს, რომლებიც ამ ტრაგედიის გამომწვევ მიზეზებთან თუ რეაგირების დროულობასთან დაკავშირებით სვამდა. თეა გოდოლაძე ფიქრობს, რომ მისი პირადი ცხოვრების შესახე ასეთი მგრძნობიარე ინფორმაციის გავრცელების მიზანი მისი რეპუტაციის შელახვა და გაჩუმების მცდელობაა. შესაბამისად, ჩნდება ვარაუდი, რომ მედიამ ეს ინფორმაცია იმ სუბიექტებისგან მიიღო, ვის მიმართაც გამოთქვამდა თეა გოდოლაძე პროფესიულ კრიტიკას და ვისაც მისი დისკრედიტაცია შეიძლება სდომოდა. გარდა ამისა, მნიშვნელოვანი გარემოებაა ისიც, რომ რუსთავი 2-ის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას მყისიერად გამოეხმაურნენ ქართული ოცნების დეპუტატები და მმართველ პარტიასთან აფილირებული სხვა პირები. ეს, კიდევ უფრო ამძაფრებს კითხვებს ინფორმაციის მოპოვების მეთოდების კეთილსინდისიერების შესახებ. ქარტიის მე-5 პრინციპი: „მედია ვალდებულია, შეასწოროს გამოქვეყნებული არსებითად არაზუსტი ინფორმაცია, რომელსაც შეცდომაში შეჰყავს საზოგადოება.“ ჩვენთვის დადასტურებულად ცნობილია, რომ მოპასუხე რუსთავი-2-მა მიიღო ინფორმაცია იმის შესახებ, რომ განმცხადებელს პრეტენზია ჰქონდა ჟურნალისტის მიერ არასწორი ინფორმაციის გავრცელებასთან დაკავშირებით. ამასთან, როგორც ზემოთ მსჯელობისას განვაცხადეთა, სადავო გავრცელებული ინფორმაცია მართლაც არასწორი და დამახინჯებული ინფორმაცია გავრცელდა და შემდგომ არ შესწორებულა, შესაბამისად, დაირღვა ქარტიის მე-5 პრინციპი. თავდაპირველად გავრცელებული მასალები, სადაც ფაქტები არასრულად და ჩართული მხარეების პოზიციების გარეშეა გადმოცემული, რუსთავი 2-ის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში ამ დრომდე იძებნება. 4. მე-10 პრინციპის მიხედვით, ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს ადამიანის პირად ცხოვრებას და არ შეიჭრას პირად ცხოვრებაში, თუ არ არსებობს განსაკუთრებული საზოგადოებრივი ინტერესი. რაც შეეხება მეათე პრინციპის დარღვევას, მივუთითებთ, რომ სუბიექტური ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილება არ არის ობიექტური საჯარო/საზოგადოებრივი ინტერესი და არ ამართლებს პირად ცხოვრებაში შეჭრას. თეა გოდოლაძის საჯაროდ შერცხვენა, მისთვის პასუხის მოთხოვნა ნიშნავს, რომ მედიას სწორედ არ ესმის საკუთარი მისია, საკუთარი მოვალეობა. 5. ქარტიის მე-11 პრინციპის თანახმად, "ჟურნალისტმა უმძიმეს პროფესიულ დანაშაულად უნდა მიიჩნიოს შემდეგი ქმედებები: ფაქტის განზრახ დამახინჯება". რუსთავი 2-მა არასწორი და მანიპულაციური ინფორმაცია თეა გოდოლაძის დისკრედიტაციის მიზნით განზრახ გაავრცელა. თეა გოდოლაძემ ფეისბუკის პირად გვერდზე გამოაქვეყნა საჯარო პოსტი, რომ: • "რუსთავი 2-ის მიერ გავრცელებული ინფორმაცია შეეხება 2 წლის წინ მომხდარ შემთხვევაზე დაფუძნებულ შეთითხნილ ბრალდებას. • ყოფილმა პარტიორმა, რომელიც ამჟამად ბრალდებულია ჩემს მიმართ განხორციელებულ ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ფაქტტთან დაკავშირებით, გენდერული დისკრიმინაციის მოტივით, შეთითხნა ცრუ ბლადებები

მტკიცებულებების გარეშე, პროვოკაციის მოწყობის მიზნით. • მისი გასაჯაროვებით ხელისუფლება ცდილობს გამაჩუმოს, რომ აღარ ვილაპარაკო შოვში მომხდარ ტრაგედიაზე და სხვა საფრთხეებზე. ასე იყო 2021 წელს, ნამოხვანის დროსაც. მაშინაც ააგორეს კამპანია ჩემს წინააღმდეგ, ამიტომ ცხადია, რომ ეს ყველაფრი უკავშირდება შოვის, ჭიათურის და ზოგადად მშენებელობების თემებთან მიმართებაში გაკეთებულ ჩემ განცხადებებსა და პოზიციას. ჩემი შანტაჟი პირადი ცხოვრებით არ გამოგივათ! არ გავჩუმდები! ნუ ცდილობთ ჩემ გაშავებას და ყურადღების გადმოტანას ჩემზე. უპასუხეთ ხალხს!" შესაბამისად, აღნიშნული იძლევა საფუძველს, რომ სადავო მასალის გავრცელებამდე ჟურნალისტს უნდა ჰქონოდა სწორი ინფორმაცია, თუმცა მაინც მანიპულაციურად და არაზუსტად გაავრცელა რუსთავი 2-ის ვებ გვერდსა და Facebook გვერდზე. Facebook-ის წესების მიხედვით, მონიშვნის შესახებ ინფორმაცია მომენტალურად ისახება მედიასაშუალების Facebook გვერდზე. თუ ჩავთვლით, რომ ჟურნალიტ(ებ)მა დაარღვია მე-3 და მე-4 პრინციპები, ანუ ინფორმაცია არაკეთილსინდისიერად მოიპოვა და მიჩქმალა მნიშვნელოვანი ფაქტები, ცხადია, რომ ამის მიზანი იყო თეა გოდოლაძის პროფესიული დისკრედიტაცია. შესაბამისად, გავრცელებული ინფორმაცია განზრახ იყო დამახინჯებული.

განცხადება და თანდართული მასალები, დასაშვებობის შემთხვევაში, ხდება საჯარო და ნებისმიერ პირს ექნება საშუალება გაეცნოს მას: ვეთანხმები